საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6912
15/11/2022

6912-21-2-202211151345

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5712 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაზალეთში, ორი უსახელო ხევის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშში (გვ. 5) მოცემულია, რომ „საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო უბნებზე განსახორციელებელი პრაქტიკული ღონისძიებების მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ინტენსივობა დაბალია, შესაბამისად, დაბალია ხმაურისა და ვიბრაციის დონეები.“ დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს ხმაურის დონეების გაანგარიშება და შესაბამისი გამოთვლები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით;
- დოკუმენტში (გვ. 11) მითითებულია, რომ „პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზირებული კარიერები, ზიდვის მანძილი დაახლოებით 20 კმ. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გამოყენებული იქნება ადგილობრივი არსებული გზები.“ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს დღიურად რამდენი სატრანსპორტო გადაზიდვა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე;
- წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გაყვანილ იქნა ორი შურფი, თუმცა აღნიშნული შურფების ლითოლოგიური ჭრილების ცხრილში მითითებული კოორდინატები ხვდება დაუსახლებელ ტერიტორიაზე, საპროექტო არეალიდან დაახლოებით 5 კმ-ის მოშორებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- „საპროექტო გადაწყვეტილების“ თავში განხილულია მხოლოდ პირველ ხევთან მონოლითური რკინაბეტონის მოწყობის ტექნიკური პარამეტრები, თუმცა არ არის

მოცემული მეორე ხევის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- დოკუმენტის ხაზობრივ და ტექსტურ ნაწილში განხილულია მონოლითური რკინაბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის საკითხები თუმცა ნახაზზე (გვ. 83) ასევე მოცემულია გაბიონი, რაც დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში განხილული და წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების „საპროექტო ღონისძიებების“ თავში (გვ. 11) დაზუსტებას საჭიროებს პირველი და მეორე ხევის GPS წერტილის კოორდინატები;
- დოკუმენტის თანახმად, „საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის სიახლოვეს, ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის“. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან, დაახლოებით 440 მეტრში მდებარეობს „ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილული და შეფასებული უნდა იყოს ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებისას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო